

სოციალური მეწარმეობა საქართველოში.....	2
2013 წლის კონკურსი - „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“	2
სოციალური მეწარმეობა - ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ახალი პროგრამული პრიორიტეტი.....	3
ქართული სოციალური საწარმოების მეორე ერთობლივი შეხვედრა.....	3
სამუშაო შეხვედრა „სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის შესაძლებლობები საქართველოში“	3
სვანური მარილის „ზესხო“ პრეზენტაცია და პრომო აქცია	4
სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები.....	5
სოცმეწარმეებო, თქვით თქვენი სათქმელი!.....	5
სოციალური მეწარმეობის ფორუმი 2013.....	5

სოციალური მეწარმეობა საქართველოში

2013 წლის კონკურსი - „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“

2013 წლის ოქტომბერში დაიწყო “სოციალური მეწარმეობის ცენტრის” ყოველწლიური კონკურსი –“სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად.” კონკურსი მიზნად ისახავს თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებში სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციასა და მათ აქტიურ ჩართვას სოციალური მეწარმეობის განვითარების პროცესში.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შეირჩა 4 სოციალური საწარმო და უნივერსიტეტი: ქართულ-ამერიკული, შავი ზღვის, კავკასიის და ქართული უნივერსიტეტი.

თითოეულ უნივერსიტეტში ჩატარდა **სემინარები** სტუდენტებისთვის სოციალური მეწარმეობის კონცეფციის გაცნობის მიზნით. სემინარების შემდეგ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული სტუდენტური გუნდებისთვის მოეწყო **გაცნობითი ტური**. თითოეული უნივერსიტეტის სტუდენტები ტურის ფარგლებში ადგილზე გაეცნენ სამი სოციალური საწარმოს საქმიანობას, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენდა მათ საკონკურსო დავალებას.

გაცნობითი ტურების შემდეგ სტუდენტთა გუნდებს მიეცათ ორი კვირა საკონკურსო დავალების შესასრულებლად. მათი ამოცანა იყო მოეფიქრებინათ შერჩეული სოციალური საწარმოს პრობლემის მოგვარების ბიზნეს გეგმა/პროექტი და მოემზადებინათ პრეზენტაცია.

საბოლოოდ, შიდასაუნივერსიტეტო კონკურსებზე ჟიურიმ ოთხივე უნივერსიტეტში გამოავლინა გამარჯვებული გუნდი, ესენია: კავკასიის უნივერსიტეტის გუნდი - **”Hit For Brains”**; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გუნდი - **”Brain-Power”**; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის გუნდი - **”Better-Day”**; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი - **”Wild Brains”**.

თითოეული გამარჯვებული გუნდის პროექტი დაფინანსდა და სტუდენტები სოციალურ საწარმოებთან მჭიდრო თანამშრომლობით აქტიურად შეუდგნენ საკუთარ პროექტებში დასახული გეგმის შესრულებას.

კონკურსის დასკვნით ღონისძიებაზე შიდასაუნივერსიტეტო კონკურსებში გამარჯვებული გუნდები წარმოადგინენ მათ მიერ განხორციელებული პროექტების შედეგებს. საუკეთესოდ შესრულებული პროექტი დაჯილდოვდება.



სოციალური მეწარმეობა - ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ახალი პროგრამული პრიორიტეტი

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დაფინანსებით ახალგაზრდულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „დავითთიანნი“ გახსნა სოციალური საწარმო, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები დასაქმდნენ, ისინი ხის მასალაზე მუშაობენ. საწარმოში ხელნაკეთი საბავშვო სათამაშოები მზადდება, რომლებიც უახლოეს მომავალში სხვადასხვა სასაჩუქრე მაღაზიაში გაიყიდება.



ქართული სოციალური საწარმოების მეორე ერთობლივი შეხვედრა

2013 წლის 20 დეკემბერს სოციალური მეწარმეობის ცენტრის ინიციატივით მოეწყო სოციალურ მეწარმეთა მეორე ერთობლივი შეხვედრა, რომელსაც დაესწრო 50-მდე წარმომადგენელი საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოებიდან და ამ სფეროს განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციებიდან. სოციალურ საწარმოთა ყოველწლიური ერთობლივი შეხვედრის იდეა 2012 წელს გამართული ღონისძიების შემდეგ ჩამოყალიბდა, როდესაც მეწარმეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ამ შეხვედრებს რეგულარული ხასიათი მიეღო. წლებიანი შეხვედრა მიზნად ისახავდა სოციალურ მეწარმეთა შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას, ერთმანეთის საქმიანობის გაცნობასა და შესაძლო პარტნიორობის გზების გამონახვას, რასაც მიემდგინა სამუშაო დღის პირველი ნახევარი. დღის მეორე ნახევარში კი გაიმართა მსჯელობა სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო რეგულირების და მასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ.



სამუშაო შეხვედრა „სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის შესაძლებლობები საქართველოში“

2013 წლის 23 დეკემბერს, სასტუმროში „რედისონ ბლუ ივერია“, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში – „სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის შესაძლებლობები საქართველოში.“

შეხვედრაზე განხილული იყო სოციალური მეწარმეობის კონცეფცია, სოციალური მეწარმეობის ქართული მაგალითები, არსებული საკანონმდებლო მდგომარეობა და სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის საჭირო, ხელშემწყობი ნაბიჯები. შეხვედრის ბოლოს, გამოითქვა სურვილი, კონცეფციაზე მომუშავე სხვადასხვა მხარეს შორის იყოს უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, რათა მოკლე დროში იქნას კონკრეტული შედეგები მიღწეული.

შეხვედრას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, სოციალური საწარმოების, მერიისა და სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლები.



სვანური მარილის „ზესხო“ პრეზენტაცია და პრომო აქცია

2013 წლის 29 ნოემბერს ქვეთარაძის ქუჩაზე მდებარე ჰიპერმარკეტ გუდვილში სოციალურმა საწარმომ "ერთად" გამართა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის - სვანური მარილის "ზესხო" პრეზენტაცია და დეგუსტაცია.

სოციალური საწარმო "ერთად" დაფუძნდა 2012 წელს გამართულ კონკურსში - „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“ გამარჯვებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური გუნდისა და მოძრაობა „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“ ერთობლივი ძალისხმევით. სოციალური საწარმოში ამ ეტაპისთვის 3 ეტლით მოსარგებლე ადამიანია დასაქმებული. საწარმომ უკვე შეიტანა პროდუქცია ნიკორას, სმარტის და გუდვილის ქსელში.

საწარმო ახალი დაფუძნებულია ამიტომ საჭიროა მომხმარებლისთვის მისი პროდუქციისა და მიზნების გაცნობა/ინფორმაციის მიწოდება. 2013 წლის კონკურსში „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“ მონაწილე კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების საკონკურსო დავალება იყო ზემოთ აღნიშნული საწარმოს პროდუქციის რეალიზაციის გაზრდა და საწარმოს სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. გამარჯვებული გუნდის "Hit For Brains" ორგანიზებით 2013 წლის 27 დეკემბერს ნიკორას ორ მაღაზიაში ცინცაძის #12 (საბურთალო) და ხომლელის # 1 (ვარკეთილის მეტროსთან) დაიწყო სოციალური საწარმოს "ერთად" წარმოებული სვანური მარილის "ზესხო" პრომო აქციები. აქციის ფარგლებში ამ ორ მაღაზიაში სვანური მარილის "ზესხო" შეძენისას მყიდველი საჩუქრად იღებდა ულამაზეს კალათას.



სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

სოცმეწარმეებო, თქვით თქვენი სათქმელი!

2014 წლის 16-17 იანვარს ქალაქ სტრასბურგში, ევროკომისია ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან თანამშრომლობით აწყობს ინტერაქტიულ შეხვედრას "თქვი შენი სათქმელი", სოციალური მეწარმეობის და სოციალური ეკონომიკის შესახებ.



"თქვი შენი სათქმელი"- თავს მოუყრის დაინტერესებულ მხარეებს უკვე არსებული პრაქტიკების შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელების მიზნით, ასევე მისცემს მათ სამომავლო ინიციატივების და აქტიური ქმედებების გაგრძელების სტიმულს.

შეხვედრის ორგანიზატორების მიზანია გადაწყვეტილების მიმღებ პირებს დაანახოს:

- თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ევროპის ეკონომიკისთვის სოციალური საწარმოების არსებობა და კონკურენტუნარიანობა;
- რა საჭიროებები აქვთ სოციალური საწარმოებს;
- რა უნდა გაკეთდეს შემდგომ წლებში არსებული პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად.

სოციალური მეწარმეობის ფორუმი 2013

2013 წლის 6-7 ნოემბერს ქალაქ რიგაში ჩატარდა სოციალური მეწარმეობის ფორუმი-2013 თემაზე "Social Entrepreneurship for Liveable Cities", რომელიც მიზნად ისახავდა იმის ჩვენებას, თუ რაოდენ დიდი

Social Entrepreneurship Forum



Social Entrepreneurship for Livable Cities

NOVEMBER 7-8, 2013

Riga, Latvia

როლი აქვს სოციალურ მეწარმეობას ურბანული პრობლემების გადაჭრასა და ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. ასევე ხაზი გაესვა იმას, თუ რა მნიშვნელოვანია ამ ყველაფერში მუნიციპალიტეტის, იმ ადამიანების ჩართულობა, რომლებიც რეალურად იღებენ გადაწყვეტილებებს.

ფორუმზე სამი ძირითადი თემა განიხილებოდა:

- ხელოვნება და კულტურა თემებისა და სოციალური კაპიტალის შესაქმნელად/გასამლიერებლად;
- სოციალური საწარმოების როლი ქალაქებში უკეთესი ინფრასტრუქტურის შექმნაში;
- სოციალური საწარმოები, როგორც სოციალური საკითხების მოგვარების საუკეთესო საშუალება.

სოციალური მეწარმეობის ფორუმი 2009 წლიდან ტარდება რიგაში, სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლაში. ორგანიზატორები, ამ სასწავლებლის გარდა, არიან სოროსის ფონდი-ლატვია და ბრიტანეთის საბჭო.

აუდიტორია ძალიან მრავალფეროვანი იყო, შეხვედრას ესწრებოდნენ საერთაშორისო კონტინგენტის, ევროკავშირის, ძირითადად ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლები. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან კი მონაწილეობას იღებდა მხოლოდ საქართველო, რომელსაც ვიქტორ ბარამია(ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი) წარმოადგენდა. მონაწილეთა შორის მრავლად იყვნენ უშუალოდ სოციალური მეწარმეები ლატვიიდან, ესტონეთიდან და ლიტვიდან, რომლებმაც საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს ფორუმის დამსწრეებს.

განსაკუთრებით საინტერესო იყო სესია, რომელიც სოციალური მეწარმეობის/სოციალური საწარმოს დეფინიციას ეხებოდა. მათი განსაზღვრება, მიდგომა, პრინციპები განსხვავებულია ევროკავშირის ქვეყნების ფარგლებშიც კი, იმის მიუხედავად, რომ ევროპა ამ საკითხში ჩვენზე ბევრად გამოცდილია. ვიქტორ ბარამიას თქმით, მისთვის საინტერესო იყო ლატვიელი კოლეგების მოსმენა, რომლებიც სოციალური მეწარმეობის შესაბამის კანონმდებლობაში ასახვის მიმართულებით მუშაობენ. შედეგა მოლაპარაკება, რათა შემდგომშიც გაგრძელდეს ურთიერთობა გამოცდილების გაზიარების მიზნით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ პარალელურ სესიაზე, რომელიც მიემდგვნა განათლების როლს სოციალური მეწარმეობის განვითარების საქმეში, ვიქტორ ბარამიამ მონაწილეებს მოუთხრო ამ კუთხით საქართველოში არსებული გამოცდილების შესახებ, კერძოდ სტუდენტების კონკურსზე.

თუ აღარ გსურთ მიიღოთ [სოციალური მეწარმეობის საინფორმაციო ჟურნალის](#) შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - "გამოწერის გაუქმება" შემდეგ მისამართზე: info@cse.ge



საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს"